ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6347385

ნომერი: AR1951492

თარიღი : 24.02.2023

გაცემის თარიღი : 28.02.2023

გაცნობის თარიღი : 28.02.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კორკოტაშვილი პ/ნ 01030051890
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 21

ორგანიზაცია:

- "ნსლაინ" კოდი: 400149111

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ვინაიდან განცხადებით მოთხოვნილია ღია ავტოსადგომის მოწყობა, რომლის განთავსებაც ხდება სარეკრეაციო ზონა2-ში, ღია ავტოსადგომის მოწყობა აღნიშნულ ზონაში საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას.
სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და თქვენი საკითხი განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (60-01230593882), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.
მიწის ნაკვეთი თვითმართველისგან შეძენილია დასასვენებელი პარკის და პარკინგის მოწყობის პირობით. შესაბამისად, აღნიშნულის განხორციელებისთვის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა არ სჭირდება.
წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული 28/07/2022 წლის NBK-107-22 იჯარის ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში, სს „საქართველოს ბანკის“ თანხმობა. ასევე წარმოდგენილ იქნეს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში, სს „თელასის“ თანხმობა.
წარმოადგინეთ დღის მდგომარეობით განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები თარიღის ფიქსაციით.
თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.